მე–11 თავის წიგნიდან "რთული ქცევა პატარა ბავშვებში – გაგება, პრევენცია, ეფექტური მართვა", ბარბარა კაიზერი, 2007 წელი ("Challenging Behavior in young children – understanding, preventing and responding effectively", by Barbara Kaiser, 2007)

მასალა დაეხმარება ბაღისა და დაწყებითი სკოლის თანამშრომლებს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან გუნდურად მუშაობის პრინციპების შემუშავებაში

დახმარება დაფასდება

მართალია, ქალბატონი ლალი ოცდახუთი წლის განმავლობაში ასწავლიდა ბავშვებს, მიუხედავად ამისა, ის განიცდიდა, თუ რის სწავლას შეძლებდნენ მიმდინარე წელს მისი პირველკლასელები. 26 ბავშვიდან 7 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე იყო აუტიზმის სპექტრის დარღვევით, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომითა და სხვა ქცევითი პრობლემებით. ქალბატონი ლალი კმაყოფილი იყო იმითაც, რომ მცირე რესურსების მქონე ქალაქის ღარიბი რაიონის ბაღში ადრეული განვითარების სსპეციალობის სტუდენტი ყოველ საღამოს მოდიოდა მის დასახმარებლად, სპეციალური განათლების მასწავლებელი კი _ კვირაში სამჯერ, დილაობით. ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როცა ქალბატონი ემა უნდა მოსულიყო. ის ძალიან მშვიდი იყო და არასოდეს ბრაზდებოდა, როცა ივანე ყვიროდა ან ზოია გარეთ გასვლას ცდილობდა.

ქალბატონ ლალის არ ჰქონდა სპეციალური პედაგოგის უნარ–ჩვევები, ამიტომ ცდილობდა მაგალითი ქალბატონი ემასგან აეღო. ის აკვირდებოდა თავისი კოლეგის მუშაობას, ესწრებოდა ინკლუზიის შესახებ პროფესიული განვითარების სემინარებს და თანდათან ისწავლა, რა უნდა გაეკეთებინა, შედეგად, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა გაუჩნდა.

როგორ ხდება იმ ბავშვის იდენტიფიცირება, ვისაც სპეციალური განათლება სჭირდება?

თქვენ, როგორც მასწავლებელმა, რომელიც ასობით ბავშვს ხვდება და იცით, ბავშვი როგორ ვითარდება, შეიძლება პირველმა შეამჩნიოთ, რომ ბავშვს დამატებითი დახმარება სჭირდება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ოჯახების კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახების 40% მიიჩნევდა, რომ პირველად მასწავლებელმა შეაფასა მათი ბავშვი, როგორც სპეციალური განათლების საჭიროების მქონე (Johnson&Duffett, 2002).

როცა ბავშვზე ღელავთ, მნიშვნელოვანია მასზე ყურადღებით დაკვირვება, შენიშვნების გაკეთება, მისი შესაძლებლობების შედარება მისი თანატოლების შესაძლებლობებთან და ბავშვის ოჯახსა და თქვენს კოლეგებთან პრობლემების განხილვა. საკითხი ფრთხილად დააყენეთ ოჯახთან, რადგან მასწავლებელი არ არის ექიმი და თქვენ ვერ შეძლებთ სამედიცინო

დიაგნოზის დასმას. შეგიძლიათ, მშობლებს სამედიცინო შეფასების შესახებ ურჩიოთ, მაგრამ ფრთხილად იყავით და არ გამოთქვათ ეჭვი პრობლემის მიზეზების შესახებ (Friend, 2005). იფიქრეთ ბავშვის საჭიროებებზე და კარგად დააკვირდით, თუ რას აკეთებთ კლასში. უკეთესი იქნება, თუ განაახლებთ სამუშაო განრიგს ან ბავშვთან ურთიერთობას შეცვლით? როცა პრობლემის სხვადასხვა გადაწყვეტას მოსინჯავთ, დააკვირდით მის რეაქციას. თუ თქვენი ჩარევა არ გაამართლებს, შემდეგი ნაბიჯი იქნება სიტუაციის შესახებ ბაღის ან სკოლის დირექტორის, ფსიქოლოგის ან გარე დამხმარე ჯგუფის ჯგუფის გაფრთხილება სიტუაციის შესახებ. ისინი დააკვირდებიან ბავშვს ჯგუფში/კლასში, რეკომენდაციებს მოგცემენ და დაგეხმარებიან, ნებისმიერი აკადემიური ან ქცევითი პრობლემების მოსაგვარებლად სტრატეგიები დასახოთ და საჭიროებისდა მიხედვით იმოქმედოთ.

თუ გუნდი დაასკვნის, რომ ბავშვს სჭირდება სპეციალური განათლება, ეს შეფასება ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის (გეგმის) საფუძველი გახდება, რომელიც ბავშვს მიმდინარე წლისთვის შესაბამის მიზნებს დაუსახავს და მკაფიოდ განსაზღვრავს სპეციალურ განათლებას, მასთან დაკავშირებულ მომსახურებებსა და დახმარებებს, რაც ბავშვმა უნდა შეასრულოს. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა ასევე გვიჩვენებს, როგორ უნდა გავზომოთ ბავშვის პროგრესი ზოგადი განათლების სასწავლო გეგმის მიხედვით.

შეუძლია ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამას ქცევითი პრობლემების გადაჭრა?

როცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს ქცევითი პრობლემები აქვს, ბავშვის გარშემო მომუშავე საგანმანათლებლო პროგრამის გუნდმა უნდა შექმნას ქცევაში ჩარევის გეგმა, რაც იმთავითვე ხდება ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი. ქცევაში ჩარევის გეგმა ეყრდნობა ფუნქციურ შეფასებას და განსაზღვრავს ინდივიდუალური დადებითი ქცევის ხელშემწყობ პირობებსა და სტრატეგიებს არასათანადო ქცევის სათანადო ქცევით შესაცვლელად.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და პრობლემური ქცევის ნებისმიერი ბავშვი შეიძლება ჩაერთოს ქცევაში ჩარევის გეგმაში, შეიძლება ეს დასჭირდეს ემოციური და ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვებსაც. თუმცა მათი ქცევები შეიძლება არ განსხვავდებოდეს სხვა ბავშვების ქცევებისაგან, ის შესაძლოა უფრო მეტად ინტენსიური, ხშირი და ხანგრძლივი იყოს (Friend, 2005).

ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე?

როცა ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის, ან ქცევის ჩარევის გეგმის ხორცშესხმის დრო დგება, თქვენ მის განხორციელებას უნდა უხელმძღვანელოთ. ეს გეგმები ფარატინა ფურცლები კი არ არის, ისინი უნდა იყოს ცოცხალი დოკუმენტები, რომელსაც ყოველდღიურად

მიმართავთ. თუ ეს გეგმები არ იქნება ქმედითი, შეგიძლიათ, მოითხოვოთ მისი გადასინჯვა.

მთელ პროცესს – იმ დღიდან, როცა შენიშნავთ, რომ ბავშვს დამატებითი დახმარება სჭირდება, იქამდე, როცა ხელში გექნებათ ინდივიდუალური გეგმა – გარკვეული დრო სჭირდება, მოემზადეთ და დაელოდეთ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებში პრობლემური ქცევის თავიდან აცილება და მართვა

შედეგიანი ჩარევა დამოკიდებულია კარგ სწავლებაზე, კარგი სწავლება კი იწყება იმის შეგნებით, რომ ყველა ბავშვი განსაკუთრებულია და ყველა ბავშვი სწავლობს თავისი ინდივიდუალური მანერით. როცა გაიაზრებთ თითოეული ბავშვის საჭიროებებს, შესაძლებლობებს, ინტერესებს, კულტურულ წარმომავლობას, სწავლის სტილსა და იმას, თუ რას ანიჭებს იგი უპირატესობას და ყველა მათგანს მოარგებთ პროგრამას და არა პირიქით, თქვენ მიაგნებთ ყველა ბავშვის ჩართვისა და წარმატების საშუალებას, არა აქვს მნიშვნელობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა თუ არა.

როცა პირველად წარდგებით ინკლუზიური ჯგუფის/კლასის წინაშე, ბუნებრივია, ინერვიულებთ. თქვენ დაგაინტერესებთ, გაიგოთ, გაქვთ თუ არა ამ სამუშაოსთვის საჭირო უნარ-ჩვევები და ცოდნა და თუ თქვენს ცხოვრებაში ხშირად არ შეხვედრიხართ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს, შეიძლება აღელდეთ კიდეც იმის გამო, თუ რა უნდა თქვათ და გააკეთოთ. რადგან ბავშვები თქვენგან მინიშნებებს იღებენ, მნიშვნელოვანია, რომ ამ გრძნობას შეეგუოთ. დაელაპარაკეთ თქვენი ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და კოლეგებს, ჩაწერეთ ჟურნალში, სპეციალურად შეისწავლეთ თქვენს ჯგუფში/კლასში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სპეციფიკა, მათი ოჯახებისგან რაც შეიძლება მეტი გაიგეთ მათ შესახებ. ამის მთავარი არსია, რომ ნეგატიური ქცევები არ უნდა გაძლიერდეს. იფიქრეთ თითოეულ ბავშვზე, თუ რისი გაკეთება შეუძლია და რისი – არა და ისე დაამყარეთ ურთიერთობები.

თუ თქვენ ისწრაფვით, შექმნათ გარემო, სადაც განსხვავებები მისაღებია, თქვენი დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია. თუ თვლით, რომ თქვენს ჯგუფში/კლასში ყველას თავისი ადგილი აქვს, კლასში ყველამ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს და თქვენი სიტყვები და ქმედება გამორჩეულად ხელს უწყობს ამ სხვაობების მიღებას, თქვენ მზრუნველ ატმოსფეროს შექმნით, სადაც ყველა ბავშვი ერთმანეთთან დაკავშირებულია და ყველას შეუძლია სწავლა (Haager&Klingner, 2005).

მონაწილეობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონეობა პრობლემური ქცევის ჩამოყალიბებაში?

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ხშირად ავლენენ მეტ ქცევით და სოციალურ პრობლემას და უფრო მეტი ალბათობაა, გარიყულები იყვნენ, ვიდრე მათ თანატოლები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები არა აქვთ (Haager&Vaughn, 1995; Odom, Zercher, Marquart, Sandall&Wolfberg, 2002). ბავშვები ჩვეულებრივი და ფართოდ გავრცელებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონეობებით – სწავლის უნარის დაქვეითებით, მეტყველების დარღვევით, მსუბუქი გონებრივი შეზღუდულობით, ემოციური აშლილობით, ისევე როგორც ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვები, გარკვეული რისკის ქვეშ არიან.

ბავშვების პრობლემური ქცევები ხშირად მათ შეზღუდულ უნარებზე მეტყველებენ. მაგალითად, ბავშვს, რომელსაც მეტყველების დარღვევა აქვს, უჭირს თავისი საჭიროებების სიტყვებით გამოთქმა და ამას სხვა ქმედებით გამოხატავს. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ თითქმის ყველა პრობლემური ქცევის ბავშვი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეები, კომუნიკაციას თავიანთი ქმედებით ამყარებენ. ამ მიზეზით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთან ყველანაირი საშუალების გამოყენებაა შესაძლებელი, რაც პრობლემური ქცევის ბავშვთან გამოდგება. დიდ მნიშვნელობას იძენს თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება – თბილი ურთიერთობის დამყარება ბავშვსა და მის ოჯახთან, მიმღები სოციალური გარემო და ფიზიკური სივრცე, ჯგუფის/საკლასო ოთახის პროცედურები და სწავლების სტრატეგიები, რაც თავიდან აგვაცილებს პრობლემურ ქცევას, და ეფექტური რეაგირების ტექნიკა.

ორმაგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეობა

ფართოდ გავრცელებულ მგგომარეობებს ხშირად ქცევითი პრობლემები ახლავს, ასე რომ, თქვენ შეიძლება შეგხვდეთ ეს კომბინაციები:

- სწავლისუუნარობა და ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (Willicutt&Penninton, 2000)
- ემოციური აშლილობა და ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (Handwerk&Marshall, 1998)
- ემოციური აშლილობა და მეტყველების დარღვევა (Benner, Nelson&Epstein, 2002).

ვის შეუძლია დახმარება?

ამ საქმეში თქვენ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოკავშირე გყავთ, უპირველესად კი, ოჯახები. ოჯახები ბავშვების ცხოვრებაში ცენტრალურ როლს ასრულებენ, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ცხოვრებაში. ალბათ, იმიტომ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი უფრო მეტადაა დამოკიდებული თავის ოჯახზე, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე და თავის მხრივ, ოჯახის წევრები უფრო მეტ დროს, ფულს, ფიზიკურ და ემოციურ ენერგიას დებენ წარმატების მიღწევაში ბავშვის დასახმარებლად. როცა საქმე განათლებას ეხება, მათი და ბავშვის ფსონი ძალიან მაღალია.

თუ მშობლები არ არიან თავისი ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობების ცოდნის ექსპერტები, მალე გახდებიან, მაგრამ თავიანთი ბავშვის ექსპერტები კი ნამდვილად არიან. ბევრი ოჯახი გეტყვით, რა გამოდგება ამ დროს და რა – არა, მოგაწვდით სპეციალურ რესურსებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონეობის მიმართ თქვენს კომპეტენტურობას გაზრდის თქვენთვის და კლასისათვის თავისი ბავშვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებით (Grigal, 1998).

იმ ბავშვების მშობლების უმეტესობა, რომელთაც სპეციალური განათლება სჭირდებათ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბაღს/სკოლასა და მასწავლებლებს, მაგრამ დაახლოებით 40% ამბობს, რომ იძულებული არიან „სიტუაცია გააკონტროლონ და იბრძოლონ თავიანთი ბავშვების საჭიროებებისათვის მომსახურების მოსაპოვებლად (Johnson&Duffett, 2002, გვ. 23). მკვლევრებმა ჯენი ფ. ლეიკმა და ბონი ს. ბილინგსლიმ (2000) კონფლიქტის რამდენიმე მიზეზი გვიჩვენეს: ოჯახებსა და ბაღებს/სკოლებს ხშირად განსხვავებული შეხედულებები აქვთ ბავშვსა და მის საჭიროებებზე (მაგალითად, ოჯახი ფიქრობს, რომ სკოლა კონცენტრირებულია ბავშვის სისუსტეზე და არა იმაზე, დაინახოს ის, როგორც ინდივიდი ინდივიდუალური ძლიერი მხარეებით) და ისინი შეიძლება ვერ შეთანხმდნენ ინკლუზიის მიწოდებასა და ხარისხზე (მაგალითად, დრო, ფული ან მომსახურების გამწევი პერსონალი). მაგრამ მკვლევრების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ნდობა. როცა მშობლები და პროფესიონალები ერთმანეთს ენდობიან, ისინი ახერხებენ თავიანთი განსხვავებული აზრების შეთანხმებას. მაგრამ როცა ნდობა აღარ არსებობს, ბავშვისთვის ამას უარყოფითი შედეგები მოჰყვება.

რადგან ოჯახები შესაძლოა წარსულში იგნორირებული, შეურაცხყოფილი ან უარყოფილი იყვნენ, დიდი ძალისხმევა და ხელახლა დარწმუნებაა საჭირო სანდო ურთიერთობის დასამყარებლად (Kluth, 2003). კარგი იქნება, მათთან ხშირად და გულწრფელად, მაგრამ დადებითი ტონით საუბარი. აუხსენით, როგორ მოქმედებს სისტემა. გამოჰკითხეთ მათი ბავშვების საჭიროებების, ოცნებების შესახებ და თუ რას ანიჭებენ უპირატესობას; თუ ისინი მოწყენილები არიან, ჰკითხეთ, რატომ; სიამოვნებით მიიღეთ მათი კითხვები

და ეძიეთ პასუხები; ყურადღებით მოუსმინეთ, რა აქვთ სათქმელი. თუ გსურთ, რომ მშობლებმა დააფასონ და პატივს სცენ თქვენს აზრებს, თქვენც უნდა დააფასოთ და პატივი სცეთ მათ აზრებს. პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენეთ თქვენი საუკეთესო უნარ–ჩვევები. ეცადეთ თქვენი სტრატეგიები და რესურსები შეუსაბამოთ იმას, რაც ოჯახს სურს და მათი სურვილის მიხედვით გააკეთეთ, რასაც აკეთებთ. ოჯახის მხარდაჭერით ბავშვსაც ეხმარებით.

თქვენი კოლეგები, მათ შორის თქვენი სკოლის ან ბაღის დირექტორი, თქვენი მოკავშირეები არიან და ფასდაუდებელი დახმარების შემოთავაზება შეუძლიათ. ისტორიულად კლასისა და სპეციალური განათლების მასწავლებლები სხვადასხვა ტრადიციიდან მოდიან (Friend&Bursuk, 2002), მაგრამ რადგან მათ უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ ითანამშრომლონ, თავისი ცოდნა გააფართოონ და მოსწავლეებზე პასუხისმგებლობა გაიზიარონ, მათ შორის სხვაობა მცირდება.

კარგ თანამშრომლობას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ამისთვის საჭიროა მასწავლებლებმა პატივი სცენ სხვების რწმენას, თავიანთი შეამოწმონ და ერთმანეთს, როგორც თანასწორს, ისე მოექცნენ, მათ ყველა (და არა „თქვენი“ და „ჩემი“) ბავშვის წარმატებაში სასიცოცხლო წვლილი შეაქვთ. მასწავლებლებმა ერთად უნდა დაგეგმონ, გაარკვიონ, როგორ გაართმევენ თავს პროცედურებსა და დისციპლინას და ისაუბრონ პრობლემებზე, სანამ ეს პრობლემები ხელიდან გაექცევათ (Friend & Bursuk, 2002). დროთა განმავლობაში სიმტკიცის გამოჩენითა და შეგნებულად დაგეგმვით ისინი კარგად შეწყობილ გუნდად ყალიბდებიან და ერთმანეთს პატივს სცემენ, უზიარებენ ერთმანეთს მიზნებსა და მოლოდინებს, კომუნიკაციას ამყარებენ და ეფექტურად წყვეტენ პრობლემებს.

როგორ შეიძლება პრობლემური ქცევა თავიდან აგვარიდოს ინკლუზიურმა სოციალურმა გარემომ?

კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, პრევენცია ყველაზე კარგი ჩარევაა. დადებით, მისაღებ გარემოს, სადაც ბავშვი მიღებულად გრძნობს თავს, დრო და ძალისხმევა სჭირდება, ინკლუზიურ კლასში პრობლემური ქცევის თავიდან ასარიდებლად. დიანა ჰააგერი და ჯანეტ კ. კლინგნერი (2005) მიიჩნევენ, რომ ძლიერ ჯგუფს/კლასს აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- ჯგუფში/კლასში არსებობს მკაფიო მოლოდინი, რომ ყველა ბავშვი მონაწილეობას მიიღებს და ასევე ბუნებრივი შეუფერხებელი მხარდაჭერა, რომ ეს მოხდეს.

- ბავშვები აფასებენ მრავალფეროვნებას და ხვდებიან, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სწავლების სტილითა და შესაძლებლობებით. განსხვავებულობას სტიგმა არ ახლავს.
- ბავშვები ერთმანეთს ეხმარებიან და პასუხისმგებლობას გრძნობენ ერთმანეთისა და საკუთარი თავის მიმართ.
- აღმზრდელები/მასწავლებლები ხელს უწყობენ დადებით ქცევას და ყურადღებას ამახვილებენ ბავშვების ძლიერ მხარეებსა და პროგრესზე.
- ჯგუფები/კლასები ბავშვებზე ორიენტირებულნი არიან. მასწავლებლები თავიანთ გეგმებში მხედველობაში იღებენ ბავშვის ინტერესებს და მათ აძლევენ შესაძლებლობას, არჩევანი გააკეთონ და საკუთარი სწავლა წარმართონ.

გახდით ყურადღებიანი

ზოგიერთი ბავშვი შესაძლოა საერთოდ არ შეხვედრია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს. ჯგუფიდან/კლასიდან ვინმეს გამორჩევის გარეშე ბავშვებს აუხსენით, რომ შეზღუდული უნარები არ განსაზღვრავს პიროვნებას, არამედ მხოლოდ პიროვნების ნაწილია. ჩვენ რაღაც დონეზე განსხვავებულები ვართ და სხვაობები მნიშვნელოვანი რესურსია (Kluth, 2003). განუმარტეთ ბავშცებსმ რომ არსებობს რამდენიმე ტიპის შეზღუდული შესაძლებლობები, ზოგიერთი ხილულია (მაგალითად, ბავშვი ეტლით დადის ან იყენებს სასმენ აპარატს), ზოგი უხილავი (თქვენ არ შეგიძლიათ სწავლის ისეთი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეობის დანახვა, როგორიცაა სწავლის უუნარობა ან ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი).

რამდენადაც შესაძლებელია, დროულად ჰკითხეთ მშობლებს, როგორ სურთ, მათ ბავშვსა და სხვა ბავშვებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონეობის შესახებ დაელაპარაკოთ (Derman-Sparks&Edwards, 2010). მათი და ბავშვის ნებართვით ესაუბრეთ კლასს იმის შესახებ, თუ რა იციან და რას ფიქრობენ. უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს შესაძლოა, ასევე სურდეს საკუთარი გამოცდილების შესახებ ლაპარაკი. ერთად შეადგინეთ სახელმძღვანელო, რომელიც ბავშვებს საშუალებას მისცემს, თავისუფლად იგრძნონ თავი და ერთმანეთს დაეხმარონ – მაგალითად, გახსოვდეთ, რომ დააკვირდეთ თითოეული ბავშვის ძლიერ მხარეს და საშუალება მიეცით, საკუთარი შესაძლებლობები თვითონ შეაფასონ (Karten, 2005).

ასწავლეთ ფასეულობები პირდაპირ

ჯგუფში/კლასში ბავშვებისათვის ერთმანეთის პატივისცემისა და ერთმანეთზე ზრუნვის სწავლაში დახმარების ერთ-ერთი ხერხი არის ამ ქცევის მკაფიოდ სწავლება. როცა თვითონ აჩვენებთ ქცევის ნიმუშს, უფრო გაიგებენ, რომ ეს თქვენთვის მნიშვნელოვანია და თქვენს მაგალითს მიჰბაძავენ. ამავე დროს, ეს ფასეულობები სასწავლო გეგმაში ჩართეთ. ისაუბრეთ პატივისცემისა და ზრუნვის სხვაობებზე, როცა თქვენ და ბავშვები ერთად ადგენთ კლასის წესებს. წაიკითხეთ წიგნები მეგობრობისა და განსხვავებულობის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეობის შესახებ და ისაუბრეთ მათზე; გამოიყენეთ სასწავლო პროგრამა, რომელშიც წინასწარ შექმნილი მიკერძოებული დამოკიდებულებები არ იქნება (Dermna-Sparks&Edwards, 2010). რასაც უნდა ასწავლიდეთ, ყურადღება გაამახვილეთ ინკლუზიურ ფასეულობებზე და მისი დემონსტრირება მოახდინეთ. განმარტეთ, რომ არსებობს საუბრის, თამაშის, სოციალიზაციისა და მონაწილეობის ბევრი საშუალება (Kluth, 2003).

მოაწესრიგეთ მდგომარეობა და ბავშვი ჩართეთ ყოველი შესაძლებელი საშუალებით

სოციოლოგი უილიამ ა. კორსარო, რომელიც სწავლობდა ბავშვების კულტურას, ვარაუდობს, რომ ბავშვები თავიანთ თავს ჯგუფის წევრებად მიიჩნევენ, რადგან ისინი ყოველთვის ერთად აკეთებენ საქმეს. ისინი, ვინც არ მონაწილეობენ, ვინც ტოვებს ოთახს სპეციალური სწავლებისათვის, მგზავრობს განსხვავებული ავტობუსით, ზის სპეციალურ სავარძელში, მათთვის არ არიან ჯგუფის წევრები. ამ შედეგის შესამცირებლად გამოაკარით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების სურათები, თერაპია ქმედებად გადაუქციეთ მთელ ჯგუფს/კლასს და ისე შეცვალეთ აქტივობები, რომ მასში ყველა ბავშვმა მიიღოს მონაწილეობა. დიფერენცირებული სწავლა და ქმედებაზე დაფუძნებული ჩარევა ყველა ბავშვს აგრძნობინებს, რომ ჯგუფში მიღებული წევრია, რადგან ამ დროს ყველა ბავშვს ექნება სხვადასხვა მასალისა და ქმედების არჩევის შესაძლებლობა და გაკვეთილებში, ყოველდღიურ საქმიანობებსა და აქტივობებში უწყვეტად იქნება ჩართული სპეციალური სწავლება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან პრობლემური ქცევის ბევრი ბავშვი უკეთესად მოქმედებს, როცა პირისპირ რჩება უფროსთან (DuPaul& Stoner, 2003), მაგრამ მათი გამორჩევის თავიდან ასაცილებლად სპეციალური განათლების მასწავლებლები, თერაპევტები, პარაპროფესიონალები და მოხალისეები საკლასო ოთახში ბევრ ბავშვთან მუშაობენ.

შექმენით ურთიერთობისა და მეგობრობის შესაძლებლობები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და პრობლემური ქცევის ბავშვებს შეუძლიათ თავის სოციალურად უფრო წარმატებულ თანატოლთან დროის გატარებით ისწავლონ შესაბამისი ქცევა, შეიძინონ სოციალური უნარ-ჩვევები და გაიჩინონ მეგობრები. რადგან სხვებთან ყოფნა ართობთ, ეს სწავლა საკუთარი თავის წახალისებაა (Odom et al., 2002); რადგან თანატოლებთან ბავშვებს შეუძლიათ ისეთი რამ გააკეთონ, რასაც მასწავლებლებთან ვერ აკეთებენ, თანატოლების დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინკლუზიურ კლასში (Kluth, 2003).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ხშირად სჭირდებათ სხვა ბავშვების დახმარება (Odom et al., 2002). თქვენ შეგიძლიათ, შექმნათ ამ ურთიერთობების შესაძლებლობა წყვილებში ან მცირე ჯგუფებში ისეთი ბავშვების ერთად მოთავსებით, რომლებსაც სტრუქტურული ან არასტრუქტურული საქმიანობებისთვის უფრო მეტი და უფრო ნაკლები სოციალური უნარ-ჩვევები აქვთ, მოიფიქრეთ მათი ერთად ყოფნის შესაძლებლობები, როგორიცაა ჯგუფური სამუშაოები, როდესაც გამოცდილმა პარტნიორმა შეიძლება შესაბამისი ქცევის მაგალითი აჩვენოს მეორეს; საუზმისა და სადილის დროს ბავშვებისათვის ადგილის მიჩენა და თავისუფალი თამაშის დროს მათთვის როლების გადანაწილება, მაგალითად, დრამატული წარმოდგენების ადგილის მაღაზიად გადაკეთება და ბავშვებისთვის გამყიდველების, მოლარეებისა და კურიერის როლების მიცემა (Odom et al., 2002; Sandal&Schwartz, 2002).

სოციალური უნარ-ჩვევევების მქონე ბავშვს ასწავლეთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს, როცა მის მეგობარს სხვებთან ურთიერთობის დამყარებაში დახმარება სჭირდება (მაგალითად, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებს) და როგორ დაიმეგობროს ის, მიმართოს სახელით, მხრებზე ხელი მოუთათუნოს, თამაშში ჩართოს, მისცეს სათამაშო, დახმარება სთხოვოს ან თავად დაეხმაროს (Strain&Danko, 1995). ასწავლეთ მას, წაიკითხოს ამ ბავშვის კომუნიკაციური მინიშნებები, ჩართოს ბავშვი ურთიერთობებში (Cook et al., 2004), გამოიყენოს დამწერლობა (Hall, 2009); ჰკითხოს, თუ სჭირდება დახმარება, სანამ სხვები დაეხმარებიან და მხოლოდ იმდენად დაეხმაროს, რამდენიც სჭირდება. უთხარით მას, რომ აუტიზმის მქონე ბავშვს შეიძლება თვალებით კონტაქტი გაუჭირდეს ან გაღიზიანდეს და ბავშვებმა არ უნდა გაიკვირვონ, თუ მათ არ უყურებს (Kluth, 2003). ამ საქმეში ჩართეთ რამდენიმე ბავშვი და უთხარით, რომ ძალიან აფასებთ მათ დახმარებას.

რაც შეიძლება ხშირად გამოიყენეთ თანატოლების სწავლების სტრატეგიები _ თანამშრომლობითი ჯგუფური სწავლა, პარტნიორული სწავლა, თანატოლებთან სწავლა, ჯგუფური პროექტები, კოოპერაციული საქმიანობები. მოამარაგეთ მასალებით, რაც ურთიერთობისათვის გამოდგება, მაგალითად, ბურთებით, მარიონეტებითა და სამაგიდო თამაშების მასალებით და ასწავლეთ ბავშვებს, რომელი უნარ-ჩვევები სჭირდებათ მონაწილეობისათვის (Cook et al. 2004). გამოიყენეთ მათი საერთო ინტერესები და უბიძგეთ თანამშრომლობისაკენ, როცა დაკავებული

არიან ისეთი მასალებით ან მოწყობილობებით, რომელთა მოხმარება მარტო შეუძლიათ, როგორიცაა თავსატეხები და ასაწყობები (Sandall&Schwartz, 2002). მიეცით შესაძლებლობა, სხვებს გაუზიარონ და გადასცენ ისინი წრიული აქტივობების და ხელოვნების გაკვეთილის დროს (Sandall&Schwartz, 2002). წაახალისეთ დახმარების, გაზიარებისა და კომუნიკაციის თითოეული მცდელობა.

ეს ხერხები აუმჯობესებს კომუნიკაციას და სოციალიზაციას, ზრდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ პატივისცემასა და დაფასებას, იმ ბავშვებში, რომლებსაც უნარები არა აქვთ შეზღუდული,ზრდის პასუხისმგებლობისა და წარმატების მიღწევის გრძნობას, აუმჯობესებს ბავშვის აკადემიურ მიღწევებს და ამცირებს პრობლემურ ქცევას (Soodak&McCarthy, 2006).

ერთხელ

ახალი, რთული ან ამაღელვებელი სიტუაციის მოსაგვარებლად სცადეთ სოციალური ამბის შექმნა. სოციალური ამბავი, რომელიც ბავშვისთვის გასაგებ ენაზე და მისი თვალთახედვით არის დაწერილი, რთულ და ყოვლისმომცველ ემოციებსა და ფიქრებს მოკლე, კონკრეტულ ფორმად გადააქცევს, რომელიც ბავშვს ესმის და ახვედრებს, რას უნდა ელოდონ და როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ (Thompson, 2007).

სოციალური ამბავი შედგება სამი ტიპის განაცხადისაგან:

- აღწერითი – ამბის შესახებ ობიექტურ ინფორმაციას იძლევა
- პერსპექტიული – ხსნის მასში ჩართული ადამიანების გრძნობებს
- მიმართულებითი – გვიჩვენებს სასურველ ქცევას

სამი აღწერითი და პერსპექტიული განაცხადი დააჯგუფეთ თითო მიმართულებით განაცხადთან. წარმოგიდგენთ მაგალითს ტრავის ტომპსონის ნაშრომიდან „აუტიზმის გაგება“ (2007):

ლუკა აღელვებულია.

ქალბატონი მერი, ჩვეულებრივ, ლუკასთან თამაშობს ქვიშის ყუთში, მაგრამ დღეს ის დაკავებულია.

ლუკა მოწყენილია, რადგან ქალბატონი როზა აპირებს მასთან ერთად თამაშს.

არაუშავს, რომ ლუკა მოწყენილია, მაგრამ ის გაერთობა ქალბატონ როზასთან.

ამ ამბის ილუსტრაცია გააკეთეთ ფოტოთი ან ნახატით, გააკეთეთ წიგნის ფორმატში და წაუკითხეთ ბავშვს (ან თავად მას წააკითხეთ) მანამდე, სანამ აღარ იქნება ამის საჭიროება. სოციალური ამბები განსაკუთრებით დაეხმარება აუტიზმის მქონე ბავშვებს (Thompson, 2007).

ასწავლეთ სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევები

როცა ბავშვების სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევები გაუმჯობესდება, მათი ურთიერთობაც უკეთესი გახდება და პირიქით. ჩვენ შეგვიძლია პროაქტიურად ვასწავლოთ ბავშვებს რიგრიგობით რამის გაკეთება, კომპლიმენტი ვუთხრათ, სანამ ისინი ჯგუფში შესვლას ეცდებიან, თამაშის დროს დავუსვათ კითხვები და ვუპასუხოთ მის კითხვებსაც. ჩვენ შეიძლება ვასწავლოთ მათ თამაში ყოველდღიური ცხოვრებიდან, მაგალითად, მაღაზიობანას ან სკოლობანას თამაში, ან კიდევ თამაში თოჯინებითა და მანქანებით (Sandall&Schwartz, 2002). პირდაპირი სწავლებით, როლის თამაშით, პრაქტიკით, ჩვენ შეგვიძლია, დავეხმაროთ ისეთი ემოციური უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორიცაა ემპათია, იმპულსების კონტროლი და გაბრაზების მართვა, მითითების მიცემა და წახალისება.

როგორ შეუძლია სივრცეს, პროცედურებსა და სწავლების სტრატეგიებს ხელი შეუშალოს პრობლემურ ქცევას?

შექმენით სივრცე ყველასთვის

ინკლუზიური ჯგუფო/კლასი საშუალებას გაძლევთ, სივრცეს სხვაგვარად შეხედოთ. ოთახში ყველაფერი ბავშვისთვის მისაღები უნდა იყოს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები უნდა იყვნენ ყურადღების ცენტრში და მასწავლებელიცა და თანატოლებიც საჭიროების დროს მათთვის მისაწვდომი უნდა იყვნენ, მათ არ უნდა სჭიდებოდეთ სულ დამხმარე პერსონალის გვერდით ყოფნა (Giangreco, 2003). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვი იჯდეს იმ ადგილთან ახლოს, საიდანაც თქვენ აქტივობას ატარებთ _ ჯგუფის/კლასის ცენტრში, შუა რიგში, ნახევარწრის ცენტრში, იმავე დონეზე, სადაც მთელი კლასი ზის (Guetzloe&John, 2004).

რიგებს შორის ფართო გასავლელი დატოვეთ, რომ ყველა სახის მოძრაობა შესაძლებელი იყოს (მათ შორის, ეტლითაც) (Bauer&Matuszek, 2001); შექმენით კომფორტული, მშვიდი სივრცე, სადაც ბავშვი, რომელსაც ყურადღების მოკრება უჭირს, იმუშავებს გონების გაუფანტავად (Grigal, 1998). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის, რომლებსაც მრავალი ხმა ესმით და ჩვენ ამ ხმებს ავტომატურად ვფილტრავთ, მაგალითად, მოვაშორებთ ფანქარს, რომელიც ქაღალდს ფხაჭნის. ოთახი აღჭურვეთ ყურსაცოცებით, ყურსასმენებით, წყნარი მუსიკითა და თბილი განათებით (Kluth, 2003).

ბავშვებს ხანდახან სჭირდებათ დახმარება თავიანთ საკუთარ პირად სივრცეში. ინდივიდუალური სამუშაო ადგილისა და შეხვედრების ადგილის მოსანიშნად გამოიყენეთ ლანგარი, პატარა ხალიჩები ან ბოთლის საცობები მაგიდასა და ხალიჩაზე, ან ლენტი იატაკზე (Sandall&Schwartz, 2002). შეგიძლიათ თან იქონიოთ პლუშის სათამაშოების, რეზინის ბურთებისა და სხვა პატარა საგნების ყუთი და ბავშვებს მისცეთ, როცა მათ წყნარად ჯდომა სჭირდებათ (Kluth, 2003).

გახადეთ დღე პროგნოზირებადი

სტრუქტურულობა და თანამიმდევრულობა ეხმარება ბავშვებს უსაფრთხოდ იგრძნონ თავი: მათ უადვილდებათ კარგად მოქცევა, როცა იციან, რას უნდა ელოდონ და რა არის მოსალოდნელი მათგან. შეიმუშავეთ დღიური განრიგი, ის სიტყვებითა და სურათებით გამოხატეთ და ყველას დასანახად გამოფინეთ, ყოველ დილით მიდით განრიგთან და ისაუბრეთ ცვლილებების შესახებ. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისა და სხვა იმ ბავშვებისათვის, რომელთაც დახმარება სჭირდებათ, შექმენით განრიგისთვის ინდივიდუალური სურათებიანი ალბომი ისე, რომ მათ შეძლონ მისი გამოყენება დღის განმავლობაში.

თქვენ ასევე შეგიძლიათ ბავშვებს უსაფრთხოების გრძნობა შეუქმნათ საკლასო წესების შექმნით, პროცედურებისა და რეჟიმის სწავლებითა და გამოყენებით და მინიშნებების გამოკვრით იმ ადგილზე, სადაც ბავშვები დაინახავენ და გაახსენდებათ, რა უნდა გააკეთონ. ბავშვი, ვისთვისაც ეს გადასვლა რთულია, შეამზადეთ მომავალი ცვლილებებისთვის და უჩვენეთ, რომ მზად ხართ დასახმარებლად – მხარზე ხელი მოუთათუნეთ, აჩვენეთ მათ, როგორ უნდა დაასრულონ ერთი და დაიწყონ შემდეგი აქტივობა (Koste ßlnik, Onaga, Rohde&Whiren, 2002). თუ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვი არის თქვენს კლასში, არ აანთოთ მკვეთრი შუქი ან არ გამოიყენოთ მაღალი ხმა გადასვლის საჩვენებლად, მისი გრძნობებისთვის ეს შეიძლება აუტანელი აღმოჩნდეს. ამისთვის გამოიყენეთ სიმღერა და მსუბუქი მელოდია (Willis, 2009). როცა რამე ახალს გააკეთებთ, წინასწარ ივარჯიშეთ და უცნობი მასალები მასთან ერთად გაიარეთ (Koegel&Koegel, 1995).

განახორციელეთ ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა

ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა უმეტესად სწავლებას ეხება. ის აღწერს (და ამავე დროს განსაზღვრავს) სპეციფიკურ საშუალებებს, რომ დაეხმაროს კონკრეტულ ბავშვს, ზოგადი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი არსის შესწავლაში. ამისთვის საჭიროა ბავშვი უზრუნველვყოთ:

- სპეციალური განათლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლება მორგებულია ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს და სპეციალური განათლების მასწავლებლებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, ამ სფეროს ექსპერტები არიან.

- მასთან დაკავშირებული მომსახურებებით, როგორიცაა ლოგოპედი ან ფსიქოლოგი.

- დამატებითი დახმარებებითა და მომსახურებებით, მათ შორის მოწყობილობებით, როგორიცაა სპეციალური კომპიუტერები, საკომუნიკაციო დაფები, ფირზე ჩაწერილი წიგნები, პერსონალი, მაგალითად, დამხმარე პედაგოგი და სასწავლო სტრატეგიები.

დიფერენცირებული სწავლება უმნიშვნელოვანესია ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის მიერ განსაზღვრულ იმ მრავალ საშუალებას შორის, რომელიც ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, თავის წლიური გეგმები შეასრულოს. ბაღებსა და სკოლებში, სადაც ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული შესაძლებლობების, შეხედულებებისა და უნარ-ჩვევების მქონე ბავშვები მოდიან და სხვადასხვაგვარად სწავლობენ, მასწავლებელი სასწავლო პროგრამასა და სწავლების მანერას ბავშვის შესაძლებლობებს არგებს. ინკლუზიის გამოცდილმა მასწავლებლებმა (Horn, Lieber, Sandal, Schwartz&Wolery, 2002) შეკრიბეს სასწავლო პროგრამის სწავლისა და შეგუების მრავალი გზა, რომელიც შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- გარემო პირობებით უზრუნველყოფა ცვლის ფიზიკურ, სოციალურ ან დროებით გარემოს. ბავშვები საუკეთესო საზომები არიან, როცა საქმე ეხება დროებით გარემოს. თუ ისინი დაიწყებენ ნერვიულობას, აქტივობა უნდა შევამოკლოთ.

- ადაპტირებული მასალები ეხმარება ბავშვებს, უფრო მეტად დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა. მაგალითად, შეგიძლიათ, ბავშვებს მიაწოდოთ წებოვანი ქაღალდი, როცა დაწებება უჭირთ ან ურჩიოთ, გაჭრის ნაცვლად გახიონ ფურცელი.

- სპეციალური მოწყობილობა, მაგალითად, სურათების დაფა ნაცნობი საგნებითა და აქტივობებით, თავისი სურვილების გამოთქმაში ეხმარება ბავშვს, რომელიც არ ლაპარაკობს.

- გამოიყენეთ ბავშვების ინტერესები, ძლიერი მხარეები, ცოდნა, საგნები და თემები, რასაც უპირატესობას ანიჭებენ აქტივობებში მონაწილეობისთვის ბიძგის მისაცემად. მაგალითად, ბავშვებს კოსმოსი თუ აინტერესებთ, შეგიძლიათ დრამატული დადგმების ადგილი კოსმოსურ სადგურად გადააქციოთ. დაგეგმეთ: დაიწყეთ იმით, რაც

სასარგებლო იქნება ბავშვისთვის და ყველა აქტივობა მასზე ააგეთ (Kluth, 2003).

- აქტივობების გამარტივება ამცირებს იმედგაცრუებას. გამოიყენეთ კარნახი, ამოცანები საფეხურებად დაყავით (თავსატეხების ნაწილები თანამიმდევრობით მიეცით ბავშვს) შეამცირეთ საფეხურების რაოდენობა, ფოტოები დაალაგეთ ისე, რომ ბავშვებს აქტივობების წარმართვაში დაეხმაროს.

- უფროსების დახმარება ბევრნაირად შეიძლება, მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ, ბავშვს შესაბამისი ქცევის ნიმუში აჩვენოთ, ბავშვის თამაშში ჩაერთოთ და ამისთვის ხარაჩოების აგების მეთოდი გამოიყენოთ.

- თანატოლების დახმარება, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთობებს, მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვები ერთმანეთისაგან კარგად სწავლობენ.

- უხილავი დახმარება ნიშნავს ბავშვის ქმედების ფრთხილად შეცვლას, მას წარმატების უფრო მეტი შანსი რომ მისცეთ. მაგალითად, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვები რიგში წინ დააყენეთ, რომ დიდხანს არ ალოდინოთ.

თუმცა სკოლებმა კონცენტრაცია უნდა გააკეთონ ბავშვის ენობრივ და მათემატიკურ შესაძლებლობაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს შესაძლოა სხვა გონებრივი უნარები ჰქონდეთ განვითარებული – მუსიკა, ხელოვნება, ფიზიკური მოძრაობა, კომპიუტერები და ამაში შეიძლება სხვებსაც აჯობონ, როცა მათ აქვთ იმის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც თავისებურად იციან.

როცა ბავშვს სჭირდება უფრო მეტად კონცენტრირებული სწავლება და პრაქტიკა ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესასრულებლად, აქტივობაზე დაფუძნებული ჩარევა (Pretti-Frontczak&Bricker, 2004) და ჩანერგილი სწავლების შესაძლებლობები ძალიან ეფექტურია. ორივე ამ სტრატეგიაში მასწავლებლები გამიზნულად ასწავლიან კონკრეტულ უნარ-ჩვევებს ჩვეულებრივი საკლასო მეცადინეობებისა და აქტივობების დროს. მაგალითად, თუ მუშაობთ ერთი ბავშვის მოძრაობის ზოგად უნარ-ჩვევებზე, ყველა ბავშვს თანდათან აქტივობებით უნდა ასწავლოთ დიდი ნაბიჯების გადადგმა ან ფეხისწვერებზე სიარული (Pretti-Frontczak&Bricker, 2004); თუ ეხმარებით აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვს კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში, უნდა დააკვირდეთ, როგორ გესალმებათ ის მოსვლისას. რეგულარულად შეაგროვეთ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაში ბავშვის პროგრესის შესახებ მონაცემები, ასე რომ, თქვენი სტრატეგიები ბავშვის საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს (Hall, 2009).

როგორ შეგიძლიათ ეფექტური რეაგირება პრობლემურ ქცევაზე?

როცა საქმე ეხება პრობლემურ ქცევას, თითქმის ყველაფერი, რაც არაშეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შესახებ იცით, გამოგადგებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის. ბავშვის ქცევის ეფექტური მართვის საფუძველი მზრუნველი ურთიერთობაა. როცა ხვდებით ბავშვის გრძნობებს, თუ რას ანიჭებს უპირატესობას და რა აძლევს მის ქმედებებს ბიძგს, თქვენ შეგიძლიათ, დაეხმაროთ შესაბამისი ქცევის სწავლაში, რაც საშუალებას მისცემს მას, გააკეთოს მაქსიმუმი. და თუ მან იცის, რომ მასზე ზრუნავთ და მხარს უჭერთ, ის გენდობათ და რაც უნდა ასწავლოთ, უფრო დადებითი რეაგირება ექნება.

თეორიული პერსპექტივების მრავალფეროვნება, მათ შორის, ჰუმანისტური და ფსიქოანალიტიკური მოსაზრებები, სოციალური სწავლის თეორია, ბიჰევიორისტული თეორია საფუძვლად უდევს ბავშვში ქცევის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მართვის სტრატეგიებს. თუ თქვენ ხელთ გაქვთ რამდენიმე სტრატეგია, შეგიძლიათ მდგომარეობის შესაბამისად აირჩიოთ ერთი ან რამდენიმე კომბინაცია.

რა არის აუტიზმის სპექტრის დარღვევა?

აუტიზმის სპექტრის დარღვევა არის სპექტრის დარღვევა, რაც ნიშნავს, რომ მისი სიმპტომები ვლინდება სხვადასხვა სახესხვაობითა და ინტენსივობით და არც ერთი ბავშვი არ განიცდის მას ერთნაირად (Kluth, 2003). მის ყველაზე ჩვეულებრივ ფორმებს, აუტიზმის დარღვევას, ასპერგერის სინდრომს, განვითარების საერთო მოშლილობას შემდეგი ნიშნები ახასიათებს (Kluth, 2003):

- განსხვავება კომუნიკაციაში. აუტიზმის მქონე ბავშვები შეიძლება ლაპარაკობდნენ ძალიან ცოტას ან საერთოდ არ ლაპარაკობდნენ, და მათ, ვინც ლაპარაკობს, პრობლემები აქვს საუბარში, გამოთქმასა და საუბრის წესებში. მათ ბევრი უნდა იმუშაონ სიტყვების გამოთქმა და გაგება რომ შეძლონ და ხშირად პასუხის გასაცემად დიდი დრო სჭირდებათ. ნათქვამის გასაგებად მათ ტვინის ვიზუალური ნაწილი უნდა ჩართონ და იფიქრონ სურათებად (Williams, 2008). **ამიტომ მათ ძალიან ეხმარებათ ვიზუალური მინიშნებები**.

- განსხვავება ურთიერთობებში. ხშირად ფიქრობენ, რომ აუტიზმის მქონე ბავშვები არ არიან დაინტერესებული ურთიერთობებით, მათ შესაძლოა უნდათ, რომ მეგობრები ჰყავდეთ, მაგრამ არ იციან, როგორ გაიჩინონ. როცა ნაცნობ სახეს უყურებენ, ტვინის ის ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, იმახსოვრებს სახეებს, არ გამოცოცხლდება, ამის

ნაცვლად, ტვინის ეს ნაწილი ჩაირთვება, როცა ისინი ხედავენ საგნებს, რაც დააინტერესებთ და აღაფრთოვანებთ (Goleman, 2006a).

- განსაკუთრებული ყოვლისმომცველი ინტერესები. თუმცა მათი ძლიერი ინტერესები ხანდახან შემაცბუნებელია, ისინი შეიძლება დაეხმაროონ აუტიზმის მქონე ბავშვებს კონცენტრაციაში, დამშვიდებაში, უფრო ყურადღებით მოსმენასა და სხვებთან კავშირის დამყარებაში. ბავშვის ყურადღების გაფანტვამ შეიძლება მისი აღელვება გამოიწვიოს.

- გრძნობათა სისტემაში განსხვავებები. ძლიერი ემოცია ადვილად იპყრობს აუტიზმის მქონე ბავშვის უკიდურესად მგრძნობიარე სენსორულ სისტემას და თვითკონტროლის დაკარგვამდე მიჰყავს ისინი. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს შეხებაზე, სმენაზე, ხედვასა და ყნოსვაზე.

- განსხვავება მოძრაობაში. აუტიზმის მქონე ბავშვებს მოძრაობის პრობლემებმა შეიძლება დაბრკოლება შეუქმნან მათ მოქმედებაში, ლაპარაკში, ფიქრებში, ემოციებსა და მეხსიერებაში (Donnellan&Leary, 1995; Leary & Hill, 1996).

თითოეული ბავშვი განსხვავებულია, მაგრამ აუტიზმის მქონე ბავშვებში პრობლემურ ქცევას ხშირად იწვევს გარკვეული გარემოებები: ისინი ვერ უძლებენ რუტინის ცვლილებას, როცა იმ საქმიანობაში ეშლებათ ხელი, რასაც უპირატესობას ანიჭებენ, როცა არ შეუძლიათ სურვილებისა და საჭიროებების შეტყობინება და როცა მათი სენსორული (შეგრძნებითი) სისტემა ზედმეტად გადატვირთულია (Thompson, 2007). უცხო სოციალური სიტუაციები ასევე ბიძგს აძლევს მათ ღელვასა და პრობლემურ საქციელს. ბავშვების რეაქცია შეიძლება გამოიხატოს საკუთარი თავის დაზიანებაში, აგრესიულად მოქმედებაში, ხელების ქნევაში, აქეთ-იქით სირბილსა და ტირილში.

როცა უკეთესად გაიგებთ ქცევას, უფრო ადვილია მისი მიღება ან ახალი უნარ-ჩვევების დაუფლება და ძველის შეცვლა (Kluth, 2003). ეს ნამდვილად პრობლემაა, მაგრამ ვისთვის? როგორ ხედავს ამას ოჯახი? რთულია თუ ადვილი ბავშვისთვის კონტროლი და მას სურს თავის ცხოვრების გაკონტროლება?

ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის გასაძლიერებლად იმუშავეთ კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე. აუგმენტური ალტერნატიული კომუნიკაციური სისტემა (თუნდაც ეს იყოს სახლში დამზადებული სურათების დაფა ან მაღალტექნოლოგიური მოლაპარაკე კომპიუტერი), მითითება, ჟესტები, წერა და ნიშნების ენა ბიძგს აძლევს კომუნიკაციას, ამცირებს იმედგაცრუებასა და პრობლემურ ქცევას (Hall, 2009). ასწავლეთ დანარჩენ ბავშვებს/კლასს ამ მოწყობილობების გამოყენება (Kluth, 2003). თქვენ ასევე შეგიძლიათ, შექმნათ ისეთი გარემო პირობები, რაც ბავშვის

ვერბალურ უნარებს გააძლიერებს – დადეთ მარკერი იქ, საიდანაც მან უნდა მოითხოვოს აღება, დააწყვილეთ თანატოლთან, რომელიც მას დაეხმარება, წაახალისეთ ის მარიონეტული თოჯინებით, სიმღერებით, ლექსებითა და გასახიერებული ჟესტებით (Hall, 2009). შემდეგ უფრო მეტი ძალისხმევით დააკვირდით, მოუსმინეთ და უპასუხეთ ყველაფერზე, რაც უნდა გითხრათ.

შეინარჩუნეთ სიმშვიდე კრიზისის დროს. ბავშვს რომ დაეხმაროთ, უსაფრთხოდ იგრძნოს თავი, ისაუბროს ნელა და წყნარად, აგრძნობინეთ, რომ მასზე ზრუნავთ (Kluth, 2003). ბავშვის ოთახიდან გაშვება არაფერს მოგიტანთ – მნიშვნელოვანია, აგრძნობინოთ, რომ ჯგუფში/კლასში მიღებულია.

საქანელა

სპეციალური პედაგოგი და ავტორი პაულა კლუთი (2003) რთული ინკლუზიური პრობლემის ორიგინალურ გადაწყვეტილებაზე მოგვითხრობს:

მეთი ხშირად გარბის კლასიდან სკოლის ეზოში. როგორც კი გარეთ გავიდოდა, საქანელაზე ხტებოდა. ის ამას იმეორებდა დაახლოებით ხუთჯერ დღეში. როცა ვცადეთ მის საკლასო ოთახთან ახლოს მდებარე კარი დაგვეკეტა, შევარდებოდა ხოლმე ბიბლიოთეკაში და კუთხეში დაკიდებულ ჰამაკში ხტებოდა.

ყველა გრძნობდა, რომ მეთს ძალიან უნდოდა ქანაობა, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს არ სურდა, მას საკლასო ოთახის აქტივობები გამოეტოვებინა. ჩემი უფროსი ხმამაღლა იმეორებდა, რომ „მეთი არ უნდა გავიდეს გარეთ საქანაოდ, საქანელა უნდა მოვიდეს მეთთან“ და დაიწყო გეგმის შემუშავება, რომ პირველი კლასის ოთახის უკან საქანელა დაედგათ. ყველა ჩვენგანი პირველი კლასის მასწავლებელი, მეთის დედა, ჩვენი უფროსები, სკოლის დირექტორი აღელდნენ და დაიწყეს დაგეგმვა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საქანელა საკითხავი ოთახის ნაწილი გამხდარიყო და ყველა ბავშვს ექნებოდა შესაძლებლობა გამოიყენებინა ის, როცა მეთი არ იქანავებდა (გვ. 171).

წყარო: “You’re Going to Love This Kid!“ Teaching Students with Autism in the Inclusive Classroom by Paula Kluth, 2003. Baltimore: Paul H. Brooks Publishing Co., Inc. იბეჭდება გამომცემლის ნებართვით.

გამოიყენეთ იარაღები თქვენი იარღების საცავიდან

გახსოვთ, როგორ უნდა მართოთ პრობლემური ქცევა?

- გაიგეთ, რას აკეთებს ბავშვი კარგად და ყველაფერი მის ძლიერ მხარეზე ააგეთ – ისინი აძლევენ მათ დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.

- კარგად გაიაზრეთ თქვენი სუსტი წერტილები, რომ ბავშვებმა ისინი არ გამოიყენონ. როცა ბრაზდებით, ხმას იმაღლებთ ან კარგავთ კონტროლს, თქვენ სწორედ იმ ქცევის მაგალითს აძლევთ ბავშვებს, რისი აღმოფხვრაც გსურთ.

- როცა გსურთ ბავშვის არასათანადო ქცევა შეცვალოთ, დაუძახეთ მას სახელით.

- უთხარით მოსწავლეებს, რა უნდა გააკეთონ და რა არა _ „გთხოვ, იარე“, და არა „არ ირბინო“. ეს ინფორმაცია დაეხმარება მათ, რომ გაიგონ, რა არის უკეთესი.

- როცა ისეთ ბავშვთან მუშაობთ, რომელიც კონტროლს ადვილად კარგავთ, დაადგინეთ მარტივი ვიზუალური მინიშნებები, რომელიც შეგახსენებთ, რა უნდა გააკეთოთ. სანამ ის ძალიან აღელდება, ახლოს მიდით, თვალებში შეხედეთ და გამოიყენეთ წინასწარ მომზადებული სიგნალი – თავი დაუკარით, თვალი ჩაუკარით ან თავი მოიფხანეთ (Cook, et. al., 2004).

- ბავშვებს სჭირდებათ არჩევანის შესაძლებლობა, მაგრამ უნდა იცოდეთ, რამდენი არჩევანის შესაძლებლობა აქვს თითოეულ ბავშვს.

- ბავშვებს, რომელთაც მეხსიერებისა და ინფორმაციისა გადამუშავება უჭირთ, არ შეუძლიათ ერთდროულად ბევრი ინფორმაციის გადამუშავება, ისინი ამას შეძლებენ, თუ ამოცანის შინაარსსა და სტრუქტურას პატარა ნაწილებად დაყოფთ და ასწავლით ნაბიჯ-ნაბიჯ. ბავშვს მომდევნო ნაბიჯზე გადასვლას შეძლებს მხოლოდ მაშინ, როცა წინა ნაბიჯს ისწავლის.

- ბავშვების აღელვების ან სტრესის დროს, მათ ხანდახან ამშვიდებს „თანამიმდევრობითი ამოცანების“ გაკეთება, რომელიც მოითხოვს თვალებისა და ხელის კოორდინაციას, მაგალითად, მძივების აგება, თავსატეხების კეთება ან პერფორირებულ დაფაზე მუშაობა (Cook et al., 2004). ეს ტაქტიკა არ გამოდგება ბავშვებისათვის, რომელთაც სუსტი თვალისა და ხელის კოორდინაცია აქვთ!

- ასწავლეთ ბავშვებს, დააფასონ თავიანთი ქცევა საკუთარ თავთან საუბრით (მაგალითად, „დღეს შენი ამბის წერა დაასრულე. როგორ გრძნობ თავს?“). ეს ხელს უწყობს მათ, საკუთარ თავზე დადებითად იფიქრონ.

- იყავით მომთმენი. ყურადღებით დააკვირდით მცირე ცვლილებებს _ ეს ცვლილებები გამცნობენ, სწორი მიმართულებით მიდიხართ თუ არა და იმედგაცრუებას თავიდან აგაცილებთ.